საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 1 21 0001350275

10/12/2021

საქართველოს პრეზიდენტს,
ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 59 (ორმოცდაცხრამეტი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაში არ არის აღნიშნული შინაარსის განცხადება.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სრულად დაკმაყოფილდა 38 განცხადება, ხოლო ნაწილობრივ - 5 განცხადება, რადგან განცხადების ერთი ნაწილით მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენდა არა საჯარო, არამედ პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას და არ იყო სახეზე ამავე კანონით დადგენილი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა 4 განმცხადებელს. უარის თქმის 2 შემთხვევა ასევე უკავშირდებოდა პერსონალური ინფორმაციის დაცვას, ხოლო 2 შემთხვევაში მოთხოვნილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სრულად სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს, ასევე ვერ მოხერხდა უფლებამოსილი ორგანოს დადგენა, შემდგომი რეაგირების მიზნით განცხადებების გადასამისამართებლად. წარმოდგენილი განცხადებებიდან 11 გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხოლო ერთი განცხადება გადაეცა ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულს, რადგანაც მოთხოვნილი იყო არა საჯარო ინფორმაციის გაცემა, არამედ ცენტრის უფლებამოსილების სფეროში შემავალი სხვა სერვისის გაწევა (საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის აღიარება).

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის მე-2 შესახ. №2, ტელ: (+995 32)2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge
№2, M. Aleksidze 2nd lane, 0193 Tbilisi, Georgia. Phone: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge

აქვე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 10 მარტიდან ცენტრის დირექტორის №172 ბრძანების საფუძველზე საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ცენტრის სპეციალისტი - ნინო მეგენეიშვილი, ხოლო, მისი დეკრეტული შვებულების განმავლობაში, აღნიშნული ფუნქციის შესრულება დაკისრებული აქვს ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსს - ქეთევან კობახიძეს.

გ) რაც შეეხება საჯარო მონაცემთა ბაზების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნას, ასევე, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე ინფორმაციას, მოგახსენებთ, რომ 2021 წლის განმავლობაში ცენტრი არ ფლობდა და არც მიმდინარე პერიოდში ფლობს კანონის აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზებს.

დ) 2021 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის ერთი თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა, რომელიც არ გაქარწყლებულა და ამჟამად მოქმედია. ასევე, ერთი თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება, ხოლო იგივე თანამშრომლის მიმართ მოგვიანებით - გათავისუფლება.

ე) ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა სწორედ საჯარო ინფორმაციად არმიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული) ასევე, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია. ამდენად, რელევანტური საკანონმდებლო აქტების გამოყენების საჭიროება არ დამდგარა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ 1 გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა არსებითი განხილვის დაწყებამდე, მოსამზადებელ ეტაპზე მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას, ადგილი არ ჰქონია. ასევე, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ